<u>მასწავლებელთა მე-13 სამუშაო სემინარი</u>

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მხარდამჭერი:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ორგანიზატორი:

პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“

სემინარის ხელმძღვანელი:

პროგრამის „ასწავლე საქართველოსთვის“ მონაწილე და წალკის #1 საჯარო სკოლის ფიზიკის კონსულტანტ-მასწავლებელი ნესტან მიქაძე

სემინარის ჩატარების დრო და ადგილი:

02.06.2023 წ. დასაწყისი -15:00 სთ.
მასწავლებლის სახლი, თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი, N6 , მე-2 სართული. (კიბერნეტიკის ინსტიტუტის შენობა)

სემინარის თემა:

ჩემი პორტფოლიო

მონაწილეები:

საჯარო სკოლების პედაგოგები, პროგრამის ,,ასწავლე საქართველოსთვის“ კონსულტანტ-მასწავლებლები.

ღონისძიების იდეა და მიზანი:

პორტფოლიო მასწავლებლის საქმიანობის ადეკვატური შეფასების ინსტრუმენტია- პედაგოგის ნამუშევრის ერთგვარი ,,სავიზიტო ბარათი”. პორტფოლიოს დახმარებით დაინტერესებული მკითხველი ნათელ წარმოდგენას იქმნის მასწავლებლის საქმიანობის ხარისხისა და პროფესიული განვითარების შესახებ.

პორტფოლიოს განიხილავენ მასწავლებლის დასაქმების, წახალისების ან კატეგორიის მინიჭების გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ნებისმიერ დისციპლინაში პორტფოლიო წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას დაინტერესებულ საზოგადოებას წარედგინოს ამა თუ იმ ინდივიდის მიღწევები და საუკეთესო ნამუშევრები მოცემულ სფეროში. პორტფოლიოს წარმოება, ანალიზი და შეფასება მასწავლებელს ეხმარება მას პროფესიული კომპეტენციის განვითარებაში.

სემინარის მონაწილეს შეუძლია წარმოადგინოს საკუთარი პორტფოლიო და გააკეთოს მისი ზოგადი ანალიზი. შესაძლებელია პედაგოგმა აირჩიოს ერთი რომელიმე საქაღალდე ან აქტივობა.

პრეზენტაციაში მკაფიოდ უნდა ჩანდეს:

- წარმოდგენილი მასალის სიღრმისეული ანალიზი;
- პორტფოლიოს წარმოება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით.

- განხორციელებული აქტივობების (აქტივობის) იდეა, მიზანი, შედეგი.
- მასწავლებლის სწავლების მეთოდების ეფექტურობა, პროფესიული განვითარება, მისი ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები საკლასო გარემოში.
- საკუთარი საქმიანობის თვითშეფასება, სამომავალო გეგმები.

ნაშრომის გაფორმება

პრეზენტაცია შეიძლება წარმოადგინოს ერთმა ან რამდენიმე პედაგოგმა.

თემის სათაური, შესავალი, პროცესის მოკლე აღწერა, დასკვნა, გამოყენებული ლიტერატურა.

რეგლამენტი:

თითოეული თემის პრეზენტაციისთვის განკუთვნილია 8- 10 წუთი.

დამატებითი ინფორმაცია:

სემინარში მონაწილეობის მსურველებმა თემის დასახელება უნდა წარმოადგინონ 3 აპრილამდე, ხოლო თემა 8 მაისამდე.

წარმოდგენილ თემებს განიხილავს სემინარის საორგანიზაციო ჯგუფი.

საკონტაქტო ტელეფონი:

ნესტან მიქაძე; ელ. ფოსტა: nestanmiqadze@gmail.com T: 599335675; 599009805;

საპრეზენტაციო თემის შეფასების რუბრიკა

		დაბალი(1)	საშუალო(2)	მაღალი(3)
1.	ნაშრომის აკადემიური სტილი,ენობრივი, ტექნიკური გამართულობა			
2.	თემის აქტუალობა,მთავარი თეზისი			
3.	თემის ანალიზი,პრობლემის გადაჭრის გზები			
4.	დასკვნითი ნაწილი, ავტორის არგუმენტირებული პოზიცია, საკუთარი წარმატებული მაგალითები			
5.	ანალიტიკური მსჯელობა კონკრეტულ სასწავლო საგანთან მიმართებაში			
6.	ილუსტრაციები, თვალსაჩინოება			

თემამ სემინარის საორგანიზაციო ჯგუფის მიერ განხილვის შემდეგ უნდა მოიპოვოს მინიმუმ 14 ქულა, იმისათვის, რომ ავტორმა გააკეთოს პრეზენტაცია.